რას ჰყვებიან ძალადობაგამოვლილი ქალები?

რეალური ისტორიები ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ:

გამოწვევები, ბარიერები და გამოსავლის გზები

2025

შესავალი

საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობა კვლავაც გამოწვევად რჩება. შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2024 წელს გაცემული 8,744 შემაკავებელი ორდერიდან დაზარალებულთა უმრავლესობა ქალები იყვნენ – 6,634 შემთხვევა, ხოლო მამაკაცთა რაოდენობა 1,221-ს შეადგენდა. ეს სტატისტიკა ცხადყოფს, რომ ძალადობის გენდერულ განზომილებას, სადაც ქალები კვლავ დომინანტურ ჯგუფს წარმოადგენენ მსხვერპლთა შორის. მიუხედავად ოფიციალური სტატისტიკის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლისა, არსებული მონაცემები ვერ ასახავს ძალადობის რეალურ მასშტაბს, რადგან მრავალი შემთხვევა სამართალდამცავ უწყებებამდე ვერც აღწევს და ქალების პირად, უხილავ რეალობად რჩება. ქალები ხშირად თავს იკავებენ პოლიციისთვის მიმართვისგან სოციალური სტიგმის, საზოგადოებრივი ზეწოლისა და სამართალდამცავი სისტემისადმი უნდობლობის გამო, მაშინ როცა არსებული მხარდაჭერის სერვისები ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფენ მათ სრულფასოვან დაცვასა და გაძლიერებას.

ოჯახში ძალადობის მიზეზები კომპლექსურია:

- **პატრიარქალური ნორმები და ქალთა მიმართ ძალადობის მიმღებლობა საზოგადოებაში;**
- **მსხვერპლზე სოციალური სტიგმის ტვირთი;**
- **მოძალადეზე ქალის ეკონომიკური დამოკიდებულება;**
- **სამართალდამცავი ორგანოების მიმართ სუსტი ნდობა;**
- **სამართლებრივი დაცვის მექანიზმებისა და არსებული მხარდაჭერის სერვისების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა და არასაკმარისი გეოგრაფიული დაფარვა;**
- **ძალადობაგამოვლილი ქალის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის აუცილებელი პირობებისა და საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა – სერვისები ხშირად ვერ პასუხობს ძალადობაგამოვლილი ქალების რეალურ საჭიროებებს, როგორიცაა საცხოვრისი, ეკონომიკური მხარდაჭერა და დასაქმების შესაძლებლობები.**

ეს დოკუმენტი ეფუძნება ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში შეგროვებულ რეალურ ისტორიებს**, რომელიც განხორციელდა** მხარდაჭერის სერვისების ეფექტიანობის შეფასების მიზნით**. ძალადობაგამოვლილ ქალებთან ინდივიდუალური ინტერვიუების მეთოდით მიღებულმა მონაცემებმა ცხადყო, რომ** ძალადობა მრავალმხრივ და სისტემურ

გავლენას ახდენს ქალების ცხოვრებაზე – **ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ეკონომიკურად. მიუხედავად კანონმდებლობის გაუმჯობესებისა,** ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის სამართლებრივი მექანიზმები და დაცვის სერვისები კვლავ ვერ უზრუნველყოფს მათი უსაფრთხოებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების გარანტიას. არსებული მხარდაჭერის სერვისები დღემდე ვერ პასუხობენ ქალთა საჭიროებებს, რაც ბარიერებს უქმნის მათ მოძალადესთან კავშირის გაწყვეტისა და ახალი ცხოვრების დაწყების გზაზე.

II. ძალადობის ფორმები და მათი გავლენა ქალზე

შინაგან საქმეთა სამინისტროს (შსს) **2024 წლის მონაცემებით**, ოჯახში ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმა **ფსიქოლოგიური ძალადობაა** (**8,224 შემთხვევა**), ფიზიკური ძალადობის შემთხვევები **2,479-ს** შეადგენს, ხოლო **ეკონომიკური (88) და სექსუალური (55) ძალადობა შედარებით იშვიათად არის რეგისტრირებული**.

თუმცა, **ეკონომიკური და სექსუალური ძალადობის სტატისტიკურად დაბალი მაჩვენებელი არ ასახავს მათი გავრცელების რეალურ სურათს**. **ეკონომიკური ძალადობა ხშირად ვერ აღიქმება ძალადობად**, რადგან ქალების დიდი ნაწილი ფინანსურ შეზღუდვებსა და ეკონომიკურ კონტროლს ოჯახის მართვის ბუნებრივ პროცესად მიიჩნევენ. **სექსუალური ძალადობის** შემთხვევების მცირე რაოდენობა მის შესახებ საუბრის **ტაბუირებულ ხასიათსა და მსხვერპლთა სოციალური სტიგმის შიშს უკავშირდება,** რაც მის იდენტიფიცირებასა და სამართლებრივ რეაგირებას მნიშვნელოვნად ზღუდავს.

ფსიქოლოგიური ძალადობა

ფსიქოლოგიური ძალადობა ხშირად შეუმჩნევლად, თანდათანობით იჩენს თავს, თუმცა მისი ზემოქმედება სხეულზე მიყენებული დაზიანებების არანაკლებ დამანგრეველია. შეურაცხყოფა, მუქარა, კონტროლი და ემოციური დაშინება ანგრევს ქალის თვითშეფასებას, ქმნის უსუსურობის განცდას და აფერხებს დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღებას.

*„ჩემთვის ძალადობა იყო მხოლოდ ფიზიკური შეხება. ეს გააზრება მქონდა მე ძალადობაზე, სანამ წლების განმავლობაში არ გავხდი ფსიქოლოგიური ტერორის მსხვერპლი. თავიდან ანალიზსაც ვერ ვუკეთებდი, რომ ეს იყო ძალადობა, ეს არ იყო ნორმა. პირიქით **მიმაჩნდა**, რომ ეს **ჩვეულებრივი თემა იყო**, როდესაც ოჯახის უფროსს ემორჩილები, ყველაფერს უჯერებ. ვერანაირად ვერ ვაკავშირებდი ძალადობას იმასთან, რომ ჩემი ნებით არაფრის კეთება არ შეძეძლო, ჩემი გამომუშავებული ფულის ხარჯვა არ შეძეძლო. **დღეს ვიცი, რომ ფიზიკურ ძალადობაზე არანაკლები ზიანი შეიძლება მოგვაყენოს ფსიქოლოგიურმა ძალადობამ“.***

ხობის მუნიციპალიტეტი

„ძალადობამ დაშინგრია ცხოვრება და შემირყია ჯანმრთელობა. ურთულესია, როდესაც ადამიანად არ ხდება შენი აღიარება და ყველასთვის „დაბალი ღობე“ ხარ. ეხლა ხანდახან ვფიქრობ, რა უფრო ძნელი ასატანია ფიზიკური შეხება თუ ემოციური ტერორი... ვფიქრობ, რომ ორივე თანაბრად აზარალებს ადამიანს. ძალადობაა, როდესაც ყველანაირად შებოჭვა და განადგურება გინდა პიროვნების... მე ასე ვგრძნობ.“

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

„ახლა უკვე ძალიან კარგად ვიცი, რომ ძალადობა არის ყველა ის საქციელი, რომელიც გაიძულებს რაღაცის გაკეთებას შენი სურვილის საწინააღმდეგოდ. ცუდია, როდესაც ქალი ფიქრობს, რომ ძალადობა არის მხოლოდ ფიზიკური ზიანის მიყენება. მეც ასე ვფიქრობდი ადრე და ეხლა ვავლებ პარალელს, რამდენი რამე არ უნდა მეთმინა, რომ ასე არ დამეზიანებინა ჩემი ფიზიკური მდგომარეობა. სტრესი ანადგურებს ადამიანს და ვფიქრობ, რომ ფიზიკურ ძალადობაზე მეტ ზიანსაც აყენებს.“

ვანის მუნიციპალიტეტი

ფიზიკური ძალადობა

ფიზიკური ძალადობა ქალის სხეულსა და თავისუფლებაზე პირდაპირი თავდასხმაა, რომელიც ცემას, წამებას, ჯანმრთელობის დაზიანებას ან თავისუფლების უკანონო აღკვეთას მოიცავს. ხშირად, ძალადობა არ იწყება მყისიერად, არამედ დროის განმავლობაში ვითარდება, ძლიერდება და თანდათანობით ანგრევს ქალის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას.

ბევრი ქალი თავდაპირველად ვერ აცნობიერებს, რომ ძალადობის მსხვერპლია, რადგან ფსიქოლოგიური და ემოციური ზეწოლა ხშირად არ აღიქმება ძალადობის ფორმად, სანამ ის არ გამწვავდება ან არ გადაიზრდება ფიზიკურ ძალადობაში. ასეთ ვითარებაში ქალი ძალადობას დროთა განმავლობაში იაზრებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მის ჯანმრთელობასა და შვილების მდგომარეობაზე ზემოქმედება აშკარა ხდება.

„ოჯახის შექმნიდან 2 თვეში გავაცნობიერე, რომ ვიყავი ოჯახში ძალადობის მსხვერპლი. თუმცა არ ვიყავი მზად, რომ ვინმესთვის დახმარება მეთხოვა. მეგონა, რომ მის შეცვლას შევძლებდი და ამიტომაც ვითმენდი რამდენიმე წელი... როდესაც მის დაბადების დღეზე ნასვამმა მცემა და იძალადა, გადავწყვიტე, რომ უკვე დრო იყო რეაგირების.“

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი



„როდესაც პირველად მეუღლე ხელით შემეხო, უკვე სერიოზულად დავიწყე იმაზე ფიქრი, რაც ხდებოდა ჩემს თავს. ეს იყო საშინელება. ფსიქოლოგიური ძალადობა ჩემთვის ნორმად იყო ქცეული, თუმცა ნელ-ნელა დავიწყე გააზრება, რომ ესეც არანაკლებ მანგრევდა. ვხედავდი, რომ ეს ბავშვებზე მოქმედებდა და ისინი ითრგუნებოდნენ... უმცროსს უჭირდა საუბრის დაწყება და ჩაკეტილი იყო, უფროსს კომპლექსები ჰქონდა და შიშებით იღვიძებდა ღამე... ეს ყველაფერი დამეხმარა, რომ გამეანალიზებინა, რომ მე ვიყავი ძალადობის ქვეშ, რაც პირველ რიგში ჩემს შვილებზე მოქმედებდა.“

ქუთაისის მუნიციპალიტეტი

„მე ძალადობის გააზრება დავიწყე მის მერე, რაც ფიზიკურ შეხებაზე გადმოვიდა. მაგრამ ამის გახმოვანება მესირცხვილებოდა. ვითმენდი შვილების გამო და თვითონ შვილმა მაჯობა, როდესაც დარეკა საშველად. ჩემმა შვილმა დასახმარებლად მიმართა ბავშვთა განყოფილებას. მათ კი ეგრევე ჩართეს პოლიცია.“

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

ეკონომიკური ძალადობა

ეკონომიკური ძალადობა **ქალის სოციალური და ეკონომიკური ავტონომიის ერთ-ერთი ყველაზე უხილავი, მაგრამ ძლიერი შეზღუდვის ფორმაა**. ფინანსური რესურსების კონტროლი, საკუთრებაზე ან შემოსავალზე წვდომის შეზღუდვა და ეკონომიკური დამოკიდებულების იძულება ქალს უღობავს ძალადობრივი ურთიერთობიდან გამოსვლის გზებს.

ეკონომიკური ძალადობა ხშირად სტრუქტურული ხასიათისაა – ის თავდაპირველად კულტურულ და ოჯახურ ნორმად აღიქმება და რის შედეგადაც ქალი ვეღარ აცნობიერებს, რომ ძალადობრივ გარემოში იმყოფება. ის მას ეკონომიკურად დამოკიდებულ მდგომარეობაში ამყოფებს და კიდევ უფრო ამძაფრებს მოძალადის კონტროლს.

„გარედან ჩვენი ოჯახი ძალიან კარგად გამოიყურება, /მეუღლე/ სხვებთან კომუნიკაციაშიც არის ძალზე კომფორტული, თუმცა ოჯახის ახლობლებმა იციან, რომ ყოველთვის ცდილობს დამაკნინოს. ახლობლები მიხვდნენ, რომ მე ჩემი ფინანსებითაც ვერ ვსარგებლობდი. როდესაც ეს მითხრეს, სხვაგვარად დავფიქრდი და რამდენად ინერტული და უსუსური ვიყავი. რეალურად, რომ არა გვერდიდან მითითება, შეიძლება ამ სიტუაციას ჩავეყლაპე „ბოლომდე“.

ხობის მუნიციპალიტეტი

„მე თამამად შემიძლია უკვე ვთქვა, რომ ვარ ოჯახში ძალადობის მსხვერპლი. გავთხოვდი, რადგან თითქოს უკვე „დრო იყო“. როცა მისი ოჯახის მდგომარეობა გავიკითხე ყველამ მიქო... რეალობა კი სულ სხვა დამხვდა ქმრის ოჯახში, როგორც მონას ისე მექცეოდნენ. ყველანაირი საშინაო საქმე ჩემი ვალდებულება გახდა. მამადლიდნენ, რომ ასე გაჭირვებული ოჯახიდან წამოიყვანეს. მეუბნებოდნენ, რომ მე ვალდებული ვიყავი მათთვის მემსახურა. ქმარი ძალიან დესპოტი გადმოდგა. არაფერს არ მყიდულობდა. არც ტანსაცმელს და არც ჰიგიენისთვის საჭირო ნივთებს. როგორც კი წინააღმდეგობას გავუწევდი, ის ფიზიკურ ძალადობაზე გადადიოდა. ამას ოჯახის სხვა წევრებიც უყურებდნენ, მაგრამ არავინ აქცევდა ყურადღებას. ჩემს მიმართ ქმარი არც შვილების გაჩენის მერე შეიცვალა.

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

„დიდხანს ვერ ვხვდებოდი, რომ ეკონომიკური ძალადობის მსხვერპლი ვიყავი. თავიდან ჩვეულებრივად მეჩვენებოდა, რომ მეუღლე აკონტროლებდა ფულს, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ეს მხოლოდ კონტროლი არ იყო – მე ვერ ვიღებდი გადაწყვეტილებას საკუთარ საჭიროებებზე. ელემენტარული ნივთებისთვის, როგორიც არის ჰიგიენური საშუალებები, ტანსაცმელი თანხა არ მქონდა და თუ რამე მჭირდებოდა, უნდა მეთხოვა. ჩემს რეგიონში, სამეგრელოში, ხშირად დედამთილები წყვეტენ, როდის და რა შეიძინონ რძლებისთვის. ჩემს შემთხვევაში, ქმარი გათბობის ჩართვასაც კი მიკრძალავდა – რადგან ბავშვები ბაღში იყვნენ, ის მიიჩნევდა, რომ ჩემთვის, მარტო მყოფისთვის, სითბო ‘აუცილებელი არ იყო’.“

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

III. ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის ქალებს ძალადობრივი გარემოსგან თავის დაღწევაში

ძალადობაგამოვლილი ქალები, ხშირად სერიოზული სოციალური, ეკონომიკური და სტრუქტურული ბარიერების წინაშე დგანან, რაც **მნიშვნელოვნად** აფერხებს მათ ძალადობრივი გარემოსგან დაღწევას და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებას. **ქალთა ნარატივები ცხადყოფს,** რომ კულტურული ნორმები, საზოგადოებრივი სტიგმა, ეკონომიკური დამოკიდებულება, საცხოვრებლის არარსებობა და სოციალური ინფრასტრუქტურის ნაკლებობა მათ გადაწყვეტილებებს არსებითად ზღუდავს.

მიზეზი: კულტურული ნორმები და მორჩილების ტრადიცია

„ბავშვობიდან გვასწავლიდნენ, რომ ქალმა უნდა მოითმინო და ოჯახი არ დაანგრიო."

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

„ყველაზე მეტი შემაფერხებელი ფაქტორი არის ის, რომ ჩვენ ძალიან არასწორად აღგვზარდეს – ძალიან გვაქვს გამჯდარი თმენა და მორჩილება. ეს ყველაფერი კი ძალიან ცუდ შედეგს იღებს, ძალიან ვაზარალებთ ჩვენს თავს. მიხარია, რომ ახალი თაობა ასე არ არის და იციან, როგორ დაიცვან თავი ძალადობისგან და იციან, რომ ეს არ არის სირცხვილი."

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

მიზეზი: საზოგადოებრივი სტიგმა და ძალადობის გაჟღერების შიში

„ძალადობის მსხვერპლი ქალები ხალხის კრიტიკის ობიექტიები ხდებიან, რაც ფსიქოლოგიურად ძალიან რთული გადასატანია. რატომ ვითმენდი ამდენი წელი? რამდენჯერ მინანია ეს ყველაფერი, რადგან არ ვიცოდი, თუ არსებობდა გამოსავალი ჩემი მდგომარეობიდან. მეგონა, არავინ დამეხმარებოდა... არავინ დამიცავდა..."

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

„არასდროს მიფიქრია, რომ პოლიციასთვის მიმემართა. მიზეზი იყო სირცხვილი – რას იტყოდა ხალხი, რომ მევლო პოლიციასა და სხვა სამსახურებში. ჩვენ ვერიდებით ჩვენი პრობლემების გამომჟღერებას, ამიტომ უმეტესად ქალები ითმენენ."

წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

მიზეზი: ეკონომიკური დამოკიდებულება

„ქალს უკან ხევს ეკონომიკური მდგომარეობა. როდესაც არ შეგიძლია იმუშაო, არ შეგიძლია შვილები არჩინო, მაშინ გიწევს შეეგუო მოძალადეს. ქალებმა უნდა იცოდნენ, რომ მათ ეკონომიკურ გაძლიერებაზე ვიღაც ზრუნავს და არ რჩებიან მარტო."

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

„ყველაზე დიდი ბარიერი მაინც ის არის, რომ ეკონომიკურად დამოუკიდებელი არ ვარ. ბევრს არ აქვს შესაძლებლობა, რომ რაიმე აკეთოს და შვილები არჩინოს."

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

მიზეზი: საცხოვრებლის არარსებობა და დაუცველობის განცდა

„ჩემთვის ყველაზე დიდი პრობლემა საცხოვრისია. რომ მქონდეს ადგილი, სადაც შვილებთან ერთად ვიცხოვრებდი, მუშაობას არ ვთაკილობ. თუმცა ბინის ქირა იმდენად მაღალია, რომ ამან გამაჩერა.“

ხობის მუნიციპალიტეტი

„თავშესაფრიდან გამოსული კიდევ უფრო რთულ ვითარებაში აღმოვჩნდი. ძმამ ბავშვებიანად გამაგდო, მაგრამ იძულებული ვიყავი უკან დავბრუნებულიყავი, რადგან სხვაგან წასასვლელი არ მქონდა.“

ქუთაისის მუნიციპალიტეტი

„იმდენი მიტოვებული სახლებია სოფლებში, იქნებ მათგან რომელიმე მოეწყოს ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის. ეს ბევრ ჩვენგანს გადაარჩენდა.“

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

მიზეზი: სოციალური ინფრასტრუქტურის არარსებობა

ქალების ეკონომიკურ გაძლიერებასა და ძალადობისგან თავის დაღწევაში **გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბავშვის მოვლის სერვისების არსებობასა და მოქნილ სამუშაო პირობებს, რომლებიც მათ საშუალებას მისცემს დასაქმდნენ და საკუთარ მომავალზე იზრუნონ.**

„როცა ბავშვები გყავს, დილიდან საღამომდე მუშაობა შეუძლებელია. მარტოხელა დედისთვის უნდა იყოს მორგებული გრაფიკი, მაგრამ ეს არ არის. თუ არ მექნება მუშაობის საშუალება, როგორ უნდა წავიდე მოძალადისგან?"

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

„კარგი იქნება, რომ არსებობდეს ცენტრი, სადაც შევძლებდი ჩემი შვილის დატოვებას გარკვეული დროით. სარეაბილიტაციო ცენტრში ბავშვის სპეციალისტი მუშაობდა, რომელიც ჩემს შვილს განვითარების გაკვეთილებს უტარებდა, რაც გადამწყვეტი იყო, რადგან მე ამ დროს ფსიქოლოგთან ვმუშაობდი.“

სენაკის მუნიციპალიტეტი

მიზეზი: სამართლებრივი დაცვის მექანიზმების და მხარდაჭერის სერვისების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა

„არავისთვის მიმიმართავს, მეგონა, რომ ოჯახური კონფლიქტები არავის ეხებოდა და ვინ უნდა დამხმარებოდა, არც კი ვიცოდი. მივმართე, ისიც დაჟინებული მოთხოვნით ქალთა ფონდ „სოხუმს“ და მადლობა ამისთვის, რომ მივიღე ეს გადაწყვეტილება.“

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

„ინფორმაცია არ მქონდა, ან საიდან უნდა მქონოდა, როდესაც სახლიდან, ფაქტობრივად, არ გავდიოდი და დილიდან საღამომდე ვშრომობდი. როდესაც მერის წარმომადგენელს სთხოვეს ჩარევა მეზობლებმა, მან მითხრა, რომ გამოგვეძახებინა პოლიცია, მაგრამ მე ეს ვერ გავრისკე.“

ბაღდათის მუნიციპალიტეტი

„მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომ ქალების უმეტესობას არ აქვს ინფრომაცია, ვის მიმართოს და რა დახმარება შეიძლება მიიღოს სხვადასხვა უწყებების მიერ. 112 ცხელი ხაზის გარდა ინფორმაცია არ მქონდა პირადად მე, რომ შემეძლო მიმემართა მერიისთვის ან სხვა უწყებებისთვის, რომ არა ორგანიზაცია „მერკური.“

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

„ქალი, რომელიც ერთხელ მაინც ყოფილა ძალადობის მსხვერპლი, ძალიან ფრთხილობს და არ იცის, რა ნაბიჯი გადადგას. მაგალითად, მე არ ვიცოდი, თუ შეიძლებოდა ჩემი დაცვის მოთხოვნა სამართლებრივად. მეგონა, ამ ბრძოლაში მარტო ვიყავი.ეს რომ თავიდან მცოდნოდა, ბევრად ადრე დავტოვებდი მოძალადეს.“

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

IV. ქალების გაძლიერება და ახალი შესაძლებლობები

ქალთა გაძლიერება და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება დამოკიდებულია მათთვის ხელმისაწვდომ სერვისებზე. ფსიქოლოგიური დახმარება, პროფესიული გადამზადება, თავშესაფრები, სოციალური და სამართლებრივი მხარდაჭერა ქალებს არა მხოლოდ კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლაში ეხმარება, არამედ მათი ეკონომიკური და სოციალური გაძლიერების წინაპირობადაც იქცევა.

4.1 მხარდაჭერის მნიშვნელობა: სერვისების გავლენა ქალთა გაძლიერებაზე

„ჩემს შემთხვევაში ყველა იმაზე ზრუნავდა, რომ მე დამხმარებოდა, როგორც არასამთავრობო, ისე სამთავრობო ორგანიზაციები. ნეტავ მცოდნოდა ეს აქამდე, ჩემს შვილებს ასეთ სტრესში არ ვაცხოვრებდი... ახლა ყველას ვეუბნები: არ მოითმინოთ, თუ გჭირდებათ დახმარება, მოითხოვეთ – და დაგეხმარებიან.“

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

„თავშესაფრის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია ქალებისთვის, რომლებსაც წასასვლელი არ აქვთ. ის, რომ მათ აქვთ პროფესიული გადამზადების და დასაქმების საშუალება, სასიცოცხლოა ყველა მსხვერპლი ქალისთვის. ეს კომბინირებული სერვისი არასამთავრობო ორგანიზაციას ჰქონდა ჩემს შემთხვევაში.“

„ძდექის“ ბენეფიციარი

4.2 სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება და ფსიქოლოგიური დახმარების მნიშვნელობა

„ფონდი „სოხუმის“ მხარდაჭერით გავიარე კერვის კურსი. ჩემში აღმოვაჩინე ნიჭი, რითაც შემიძლია ფული ვიშოვო. იციან სოფელში, რომ შემიძლია შეკერვა და მოდიან კიდეც. ეს უდიდესი დახმარება იყო ჩემთვის.“

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

„მე „მერკურში“ გავიარე კურსები, დამასაქმეს. გადავედი ქირით, დავიწყე ვაჭრობა და დღეს უკვე ჩემი საკუთარი მაღაზია მაქვს. გავთხოვდი, ვიპოვე ადამიანი, ვინც ჩემი მხარდამჭერია და ბედნიერი ვარ, თუმცა, სულ მახსენდება ის წლები, რაც გამოვიარე.“

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

„მნიშვნელოვანი იყო, რომ თავშესაფარში ყოფნისას შევიტყვე დასაქმების და პროფესიული გადამზადების პროგრამების შესახებ. ეს იყო პირველი ნაბიჯი, რომ საკუთარ თავზე მეზრუნა. დღეს უკვე შემიძლია ჩემი ფინანსებით შვილებზე ვიზრუნო და აღარ ვგრძნობ იმ დაუცველობას, რაც ადრე მქონდა.“

ქუთაისის მუნიციპალიტეტი

„ფსიქოლოგთან მუშაობამ გამაძლიერა. ახლა უფრო ძლიერი ვარ და მჯერა, რომ ჩემი ცხოვრება უკეთესობისკენ შეიცვლება.“

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

„მე და ჩემი მეუღლე ვცხოვრობდით გალში. მივმართეთ აფხაზეთშივე ორგანიზაციას და მათ შემომთავაზეს თავშესაფარი ზუგდიდში. “გამშვებ პუნკტთან“ დაგვხვდნენ, დამაკვალიანეს, როგორ დამეცვა თავი სამართლებრივად, ფსიქოლოგიური და იურიდიული კონსულტაციები გავიარე, შემდეგ კი დავიწყე კურსები და დავასაქმდი. დღეს მე დამოუკიდებელი ქალი ვარ, რომელიც საკუთარ მომავალს თავად განკარგავს.“

ასოციაცია „მერკურის“ ბენეფიციარი, ქალი გალიდან

„ფონდი „სოხუმის“ მხარდაჭერამ ჩემი ცხოვრება შეცვალა. სარეაბილიტაციო ცენტრში შვილებიანად მივიღე დახმარება, ფსიქოლოგმა მასწავლა, როგორ გამოვეყვანე ბავშვი ამ მდგომარეობიდან. კერვის კურსი გავიარე, ახლა საკუთარი შემოსავალი მაქვს. ვიცი, რომ მარტო არ ვარ – თვეში ერთხელ იმ ქალებს ვხვდები, ვინც იდენტურ ბრძოლას გადის. ეს არის ნამდვილი მხარდაჭერა."

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

4.3 ადგილობრივი თვითმმართველობების როლი

„როდესაც თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მითხრეს, რომ შემეძლო თავშესაფარში წასვლა, არ მჯეროდა. ფონდი „სოხუმის“ დახმარებით დავიწყე ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია და მერიის ხელშეწყობით ქირის პროგრამაში მოვხვდი. ახლა ვეძებ ბინას და ველოდები საბოლოო დახმარებას, რომ ცხოვრება თავიდან დავიწყო.“

სენაკის მუნიციპალიტეტი

„ბავშვთა განყოფილებისგან გავიგე, რომ მერიას ჰქონდა ძალადობის მსხვერპლთა დახმარების პროგრამები. მათ დამაკვალიანეს, როგორ მიმეღო მხარდაჭერა, დამაკავშირეს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, დამაფინანსეს მედიკამენტები და მასაჟის კურსები ჩემს შვილზე. ასევე დამეხმარნენ ბინის ქირის პროგრამით. ჩემი ცხოვრება მთლიანად შეიცვალა.“

ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

„მუნიციპალიტეტთან დამაკავშირა კრიზისული ცენტრის იურისტმა. მის გარეშე არ მეცოდინებოდა, სად უნდა მივმართო. დღეს ჩემი ოჯახი ჩართულია ოჯახის გაძლიერების პროგრამაში, რაც ფინანსურად ძალიან დამეხმარა ახალ ცხოვრებაში ფეხის მოკიდებაში.“

ვანის მუნიციპალიტეტი

თუ ძალადობას დაუპირისპირდი,

გახსოვდეს შენ არ ხარ მარტო:

- 112 – პოლიციის ცხელი ხაზი/SOS ღილაკი
- 116 006 – ცხელი ხაზი ქალებისთვის
- 14 81 - საქართველოს სახალხო დამცველი

www.sosfsokhumi.ge – ქალთა ფონდი „სოხუმის“

ვებგვერდი - „ძალადობაგამოვლილ ქალთა სერვისების ციფრული რესურსცენტრი“

დასკვნა

ქალთა ისტორიები ცხადყოფს, რომ ოჯახში ძალადობა კვლავაც მწვავე პრობლემად რჩება საქართველოში. სოციალური სტიგმა, ეკონომიკური დაუცველობა, საცხოვრებლის არქონა და შეზღუდული სერვისები ქალებს მოძალადესთან დარჩენას აიძულებს. მიუხედავად საკანონმდებლო პროგრესისა, არსებული დაცვის მექანიზმები და სერვისები ვერ უზრუნველყოფენ მათ უსაფრთხოებასა და დამოუკიდებლობას.

ქალთა გამოცდილება აჩვენებს, რომ **არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად მათთვის ერთადერთი დახმარების წყაროა, ისინი ავსებენ იმ სიცარიელეს, რომელსაც სახელმწიფო სერვისები ვერ ფარავს. ეს კიდევ უფრო მკაფიოდ უსვამს ხაზს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გაზრდის და ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის თანმიმდევრული, სისტემური და ხელმისაწვდომი მხარდაჭერის მექანიზმების შექმნის აუცილებლობას. ცალკეული მუნიციპალიტეტების გამოცდილება ადასტურებს, რომ ადგილობრივი სერვისების განვითარება ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. ამიტომ, საჭიროა ამ პრაქტიკის გაფართოება და მისი სისტემურ ინსტრუმენტად ქცევა, რომელიც ყველა მუნიციპალიტეტში სერვისებზე თანაბარ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.**

რეკომენდაციები

- **სახელმწიფო სერვისების გაფართოება და სერვისის მიმწოდებლების კოორდინაციის გაძლიერება,** რათა მხარდაჭერა თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს ყველა რეგიონში.
- **ეკონომიკური გაძლიერების პროგრამების განვითარება, მათ შორის ძალადობაგამოვლილი ქალებისთვის მათ საჭიროებას მორგებული**, მოქნილი დასაქმების პირობებისა და სათანადო საცხოვრებლის უზრუნველყოფა.
- **საინფორმაციო კამპანიების გაძლიერება**, რათა ქალებმა მიიღონ სრულყოფილი ინფორმაცია თავიანთი უფლებებისა და ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისების შესახებ.
- **ადგილობრივი მხარდაჭერის სისტემების გაფართოება და წარმატებული მუნიციპალიტეტების პრაქტიკების გავრცელება ყველა რეგიონში.**

ქალთა ფონდი „სოხუმი“

პუბლიკაციაზე მუშაობდნენ
ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობა:

ეკატერინე გამახარია

ლიდა ჩიხლაძე

ინფორმაციის შეგროვებაზე მუშაობდნენ:
ქუთაისის სათაო ოფისის
მონიტორინგის ჯგუფის წევრები:

გურანდა გვანცელაძე, თეა გოლეთიანი

დამკაბადონებელი ლია კოსტავა

მისამართები:
ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. #29 ბ,
საოფისე ფართი #2
ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6

fundsukhumitbilisi@gmail.com
womansukhumi@gmail.com

www.fsokhumi.ge

www.facebook.com/fsokhumi/
www.facebook.com/WFSTbilisiOffice